- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.შესაბამისად.

11. კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა, უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „ვეტერინარია“ განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები, და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დამღევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

ვეტერინარია (V საფეხური)

1. ვეტერინარია V საფეხური
2. სარეგისტრაციო ნომერი - 309111
3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ვეტერინარიაში

განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის მიხედვით აღნიშნული კვალიფიკაცია განეკუთვნება დეტალურ სფეროს - „ვეტერინარია“ (კოდი 0841), აღმწერი- „შეისწავლის ცხოველების და ზიანებებისა და დაავადებების პრევენციას, დიაგნოსტიკასა და მკურნალობას, ასევე მათ ზოგად მოვლას. მოიცავს ვეტერინარულ კლინიკაში ავადმყოფი, დაშავებული და დაუძღვრებელი ცხოველების მკურნალობას. ასევე მოიცავს ვეტერინარის ასისტენტის პროგრამასაც.“

4. მიზანი

პროგრამის მიზანია უზრუნველყოს შრომის ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური ვეტერინარი ტექნიკოსის მომზადება, რომელიც, უფლებამოსილების ფარგლებში, შეძლებს ცხოველთა მკურნალობას, მათ დაავადებებსა და ზიანებებზე რეაგირებას, საზოგადოებისა და პიროვნებებისთვის რჩევების მიცემას, ოპერაციის შემდგომ ცხოველთა მდგომარეობის მონიტორინგს, ამბულატორიულ მკურნალობას, ცხოველთა ხელოვნურად განაყოფიერების მიზნით ტექნიკური დავალებების შესრულებას, ვეტერინარისთვის ცხოველთა ჯანმრთელობის პრობლემების დიაგნოსტიკის სასრადიო გრაფების, ნიმუშებისა და სხვა ლაბორატორიული ტესტების შეგროვებაში დახმარებას, ვეტერინარი ქირურგის ასისტირებას, დაკვლის წინა და დაკვლის შემდგომ პროცესებში მონაწილეობას და სხვ.

5. დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება

6. დასაქმების შესაძლებლობები

ვეტერინარიაში მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი შესაძლოა დასაქმდეს ვეტერინარულ კლინიკაში, ფერმერულ მეურნეობაში, ვეტერინარულ აფთიაქში, ზოოპარკში, და ლექსიკა - ზოომდაზიანებაში, ცხოველთა თავშესაფარში, ვეტერინარულ ლაბორატორიაში, საკონსულტაციო ცენტრებში, ვივარიუმში, ცხოველთა სასაკლაოზე, ხორცის გადამამუშავებელ საწარმოებში, ვეტერინარული პრეპარატების, ხელოვნური დათესვის საწარმოებში, ცხოველური ნედლეულის გადამამუშავებელ საწარმოებში. ასევე შესაძლოა იყოს თვითადასაქმებული.





დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის - ISCO-08-ს მიხედვით დასაქმების სფეროები (3240)

- დამხმარე პერსონალი/სპეციალისტი ვეტერინარიაში
- ვეტერინარ-ტექნიკოსი
- ექთან-ვეტერინარი
- ვეტერინარის ასისტენტი

საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი ეკონომიკური საქმიანობის სახეები (2016 წ.) - სექცია M პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები, განყოფილება 75 - ვეტერინარული საქმიანობები

7. სტრუქტურა და მოდულები

ვეტერინარიის ჩარჩო დოკუმენტი მოიცავს 120 კრედიტის რაოდენობის შემდეგი სახის მოდულებს:

- ზოგადი მოდულები ჯამურად 16 კრედიტი
- დარგობრივი საბაზისო მოდულები ჯამურად 42 კრედიტი
- პროფესიული/დარგობრივი მოდულები ჯამურად 22 კრედიტი
- კლინიკური სწავლების მოდულები ჯამურად 40 კრედიტი

პროგრამის მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა:

მოცულობა: 120 კრედიტი, 22 თვე

არაქართულენოვან სტუდენტებისათვის 150 კრედიტი, 27 თვე

8. სწავლის შედეგები

კურსდამთავრებული შეძლებს:

- ვეტერინარის დანიშნულების მიხედვით უმკურნალოს ცხოველებს;
- კომპეტენციის ფარგლებში გასცეს რეკომენდაციები/რჩევები ცხოველთა დაავადებებსა და დაზიანებებზე;
- უზრუნველყოს პირველადი ვეტერინარული დახმარება ცხოველის, მათ შორის შინაური ცხოველის მსუბუქი დაზიანებისა და გადაუდებელი შემთხვევების დროს;
- განახორციელოს ვეტერინარი ქირურგის ასისტირება;
- ცხოველთა ხელოვნურად განაყოფიერების მიზნით, შეასრულოს ტექნიკური დავალებები;
- აიღოს ლაბორატორიული სინჯები, მოაგროვოს და ჩაატაროს ექსპრესტესტები;
- გაუწიოს ვეტერინარს ასისტირება ცხოველთა ჯანმრთელობის პრობლემების დადგენისას და რუტინულ სტომატოლოგიურ პროცედურებში;
- განახორციელოს ცხოველთა საკვებისა და კვების პროცესის მონიტორინგი;
- აღრიცხოს და ჩამოწეროს მედიკამენტები, ქიმიკატები და სხვა ფარმაცევტული მასალები;



- მიიღოს მონაწილეობა ცხოველთა ზოგად პროფილაქტიკურ, საკარანტინე-შემზღვეველ, გეგმიურ და იძულებით ეპიზოოტიის საწინააღმდეგო (ვაქცინაცია, დეზინფექცია, დერატიზაცია, დეზინსექცია, დეგაზაცია, დეზოდორაცია, დეზაკარიზაცია) ღონისძიებებში;
- განახორციელოს ცხოველთა დაკვლისწინა და დაკვლის პროცესის მონიტორინგი;
- ვეტერინარის ზედამხედველობით განახორციელოს ცხოველთა დაკვლის შემდგომი შემოწმება.

1. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიმუშავა 120 კრედიტის მოცულობის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

პროფესიული პროგრამით განსაზღვრული კლინიკური სწავლება უზრუნველყოფილია შესაბამის ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულებებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს მშობლიური/საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენის კომპეტენციის შეფასების მიდგომებს.

9. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

ჩარჩო დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათმორისი, კულტურათათმორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან



ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა, შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროისლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიულილექსიკისგამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ქესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელისიტყვებისსწორადგამოყენება;
- ძირითადი სასვენიინიშნების (წერტილი, კითხვისადაძახილისნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიულილექსიკისსათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

10. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

12. მეხუთე საფეხურის პროგრამაში: „მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლასავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება № 152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.“

13. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დამლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

მცენარეების დამამზადებელი (სამკურნალო, არომატული)

1. ზოგადი ნაწილი

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სამართლებრივი საფუძვლები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ეფუძნება:

”პროფესიული განათლების შესახებ” საქართველოს კანონს (2010);

ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს (დანართი 2- პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო და დანართი 4 - მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვე-დარგების/სპეციალობებისა და პროფესიულ სპეციალიზაციათა ჩამონათვალი);

შესაბამის პროფესიულ სტანდარტს მცენარეების დამამზადებელი (სამკურნალო, არომატული) პროფესიულ სტანდარტს;

განათლებისა და მეცნიერების მისისტრის 121/ნ.(10.12.2010)-ე ბრძანებას ”პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის” შესახებ;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავებულ შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს :

“სწავლის პროცესის მარეგულირებელი წესი“

1.2. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება

მცენარეების დამამზადებელი (სამკურნალო, არომატული)

1.3. პროფესიული სპეციალიზაცია

მცენარეების დამამზადებელი (სამკურნალო, არომატული) 010158

1.4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

მცენარეების დამამზადებელის (სამკურნალო, არომატული) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

1.5. პროგრამის მოცულობა კრედიტებში

60 კრედიტი (1500სთ); თეორიულ კურს ეთმობა 50% ,30 კრედიტი (750 სთ); სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას 50%, 30 კრედიტი (750 სთ). 1 კრედიტი ტოლია 25 საათია.

1.6. სწავლების ხანგრძლივობა

პროგრამის ხანგრძლივობაა (41 კვირა), თეორიული სწავლებისა და სასწავლო პრაქტიკის ხანგრძლივობაა

-32 კვირა, საწარმოო პრაქტიკის-9 კვირა. (მათ შორის თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობე-

ბის შუალედური და დასკვნითი გამოცდებისათვის საჭირო დრო).

2. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები





2.1. მინიმალური განათლება

საბაზო განათლება .

2.2. მინიმალური ასაკი

2.3. კვალიფიკაცია

2.4. შიდა შესარჩევი კონკურსის წესი და პირობები

2.5. ქართული ენის ფლობის დონე პროგრამის გავლის მსურველთათვის, ვისთვისაც ქართული ენა არ არის მშობლიური ქართული ენის ცოდნა ზოგადი განათლების საბაზო დონეზე, რომელიც აუცილებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასაძლევად.

2.6. უცხოენოვან პროგრამებზე იმ უცხოური ენის ფლობის დონე, რომელზეც მიმდინარეობს სწავლება

3. დასაქმებისა და შემდგომი პროფესიული განვითარების შესაძლებლობები

აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება:

დასაქმდეს შრომით ბაზარზე მინიჭებული მცენარეების დამამზადებლის (სამკურნალო არომატული) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის შესაბამისად; შეუძლია იმუშაოს სხვადასხვა სახის აგროფორმებში; წამალთმცოდნეობის სხვა დასხვა სფეროს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, აგრეთვე შესაბამის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში და დაწესებულებებში.

განაგრძოს სწავლა პროფესიული კვალიფიკაციის გასაახლებლად და ასამაღლებლად სწავლის მეშვეობით.

4. პროფესიული პროგრამის მიზნები:

მცენარეების დამამზადებელი (სამკურნალო არომატული) მესამე საფეხურის პროგრამის მიზანია, მოამზადოს მცენარეების დამამზადებელი(სამკურნალო, არომატული), რომელსაც ექნება ამ სფეროს საფუძვლების ცოდნა და გააცნობიერებს მარტივ და რთულ ამოცანების გადასაჭრელად აუცილებელ ნაბიჯებს . კერძოდ, ეცოდინება სამკურნალო მცენარეების მოვლა-მოყვანა, შეგროვება და გადამუშავების ტექნოლოგიები სახელმწიფო სტანდარტების მიხედვით. ამ პროფესიის შესასწავლად უნდა შეასრულოს განსაზღვრული დავალებები, შეისწავლოს ძირითადი მეთოდები მათი მოვლისა და მოყვანის , შესაბამისი ინსტრუმენტების, მასალების გამოყენებითა და უსაფრთხოების წესების დაცვით. ამ პროგრამის გავლის შემდეგ კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს სააფთიაქო ქსელში, ფერმერულ მეურნეობაში, ააწყოს საკუთარი ბიზნესი , ითანამშრომლოს ფიტოაფთიაქების ქსელთან. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას კურსდამთავრებულები ფლობენ შემდეგ კომპეტენციებს:

ძირითადი კომპეტენციები:

კომუნიკაციის, გუნდური მუშაობის

სინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების

პრობლემის გადაჭრის

ჯანდაცვისა და უსაფრთხოების

ფიზიკური ამტანობა



სიფრთხილე

პასუხისმგებლობა

ტექნიკური და სპეციფიური კომპონენტები:

ტექნიკური და სხვა ნორმატიული დოკუმენტების გამოყენების

სამუშაო გარემოს სწორად ორგანიზების (მომზადება, მოწყობა)

დეფექტების გამოვლენის

აღმოჩენილი დაზიანებებისა და სხვა უწყისივრობების აღმოფხვრის

სამუშაოს შემოწმების (ტესტირება) და დოკუმენტურად გაფორმების

შესრულებული სამუშაოს ჩაბარების

სტუდენტებს ასევე გამოუმუშავდებათ კრიტიკული, ანალიტიკური და რაოდენობრივი აზროვნების უნარები. ისინი შეძლებენ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას .

მზარეული

1. ზოგადი ნაწილი

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სამართლებრივი საფუძვლები
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ეფუძნება:

”პროფესიული განათლების შესახებ” საქართველოს კანონს (2010);

ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს (დანართი 2- პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო და დანართი 4 - მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვე-დარგების/სპეციალობებისა და პროფესიულ სპეციალიზაციათა ჩამონათვალი);

შესაბამის პროფესიულ სტანდარტს მზარეულის პროფესიულ სტანდარტს ;

განათლებისა და მეცნიერების მისისტრის 121/ნ.(10.12.2010)-ე ბრძანებას ”პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის” შესახებ;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავებულ შიდა დოკუმენტებს:“სწავლის პროცესის მარეგულირებელი წესი“

1.2. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება
მზარეული

1.3. პროფესიული სპეციალიზაცია
მზარეული (010463)

1.4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია
მზარეულის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

1.5. პროგრამის მოცულობა კრედიტებში

45 კრედიტი (1125სთ); თეორიულ კურს ეთმობა 40% ,18 კრედიტი (450სთ); სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას 60%,27 კრედიტი (675 სთ). 1კრედიტი ტოლია 25 საათის.

1.6. სწავლების ხანგრძლივობა

პროგრამის ხანგრძლივობაა(32კვირა),თეორიული სწავლებისა და სასწავლო პრაქტიკის ხანგრძლივობაა

-25კვირა,საწარმოო პრაქტიკის-7 კვირა. (მათ შორის თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობე-

ბის შუალედური და დასკვნითი გამოცდებისათვის საჭირო დრო).





2. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

2.1. მინიმალური განათლება

საბაზო განათლება.

2.2. მინიმალური ასაკი

2.3. კვალიფიკაცია

2.4. შიდა შესარჩევი კონკურსის წესი და პირობები

2.5. ქართული ენის ფლობის დონე პროგრამის გავლის მსურველთათვის, ვისთვისაც ქართული ენა არ არის მშობლიური

ქართული ენის ცოდნა ზოგადი განათლების საბაზო დონეზე, რომელიც აუცილებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასაძლევად.

2.6. უცხოენოვან პროგრამებზე იმ უცხოური ენის ფლობის დონე, რომელზეც მიმდინარეობს სწავლება

3. დასაქმებისა და შემდგომი პროფესიული განვითარების შესაძლებლობები

აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება:

- დასქმდეს შრომით ბაზარზე მინიჭებული მზარეულის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის შესაბამისად: კერძოდ რესტორნებში, კაფეებში, ბარებში, სწრაფი კვების ობიექტებში, სასაუზმეებში, სასტუმროებში, დასასვენებელ სახლებში, გასართობ კომპლექსებში და სხვა სადაც არის კვებითი მომსახურება.
- განაგრძოს სწავლა უფრო მაღალი, მე-3 საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მისაღებად თუ აკმაყოფილებს საგანმანათლებლო დონის მისაღებ მოთხოვნებს;
- განაგრძოს სწავლა პროფესიული კვალიფიკაციის გასაახლებლად და ასამაღლებლად სწავლის მეშვეობით.

4. პროფესიული პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზანია სტუდენტს განუვითაროს მზარეულის II საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის

შესაბამისი ცოდნა და უნარები, რათა პროგრამის დასრულების შემდეგ შეძლოს შევიდეს შრომის ბაზარზე.

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებს ცოდნითა და გაცნობიერებით, თუ როგორ უნდა გამოიყენოს მიღე-

ბული ცოდნა სხვადასხვა ტიპის კვების ობიექტებში მუშაობისას. შეძლოს ადგილობრივი და უცხოური საკვები პროდუქტების სწორი შერჩევა, ხარისხის შეფასება, დამუშავება, შენახვა. მათი გამოყენებით ქართული სამზარე-

ულოს სხვადასხვა ტიპის კერძების მომზადება, მსოფლიო სამზარეულოს მარტივი კერძების მომზადება. მათი

ნორმირება, გაფორმება, წარდგენა. ასევე კერძების კვებითი ღირებულებისა და თვითღირებულების გაანგარიშება. მუშაობისას უსაფრთხოებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა.

პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტებს შეეძლება:



-სხვადასხვა ტიპის კვების ობიექტებზე სამუშაო არეალის მომზადება სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების, ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებისა და უსაფრთხოების წესების დაცვით.

-საჭირო სამუშაო იარაღებისა და მანქანა-დანადგარების შერჩევა, უსაფრთხო გამოყენება, მოვლა-დეზინფექცია.

-საკვები პროდუქტების მიღება-შენახვა-გადამუშავება, ხარისხის შეფასება, სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფა. მათი კვებითი ღირებულებისა და ხარჯის ნორმების გაანგარიშება.

-ქართული სამზარეულოს კერძების მომზადებას რეგიონული თავისებურებების გათვალისწინებით. მსოფლიო სამზარეულოს ზოგიერთი მარტივი კერძის მომზადებას რეცეპტურისა და ტექნოლოგიური ბარათის გამოყენებით.

კერძების ტესტირება-დაგემოვნებას მომზადების პროცესში, კალკულაციას.

-ცომის სახეების გარჩევა და მათი მომზადების ტექნოლოგია, მარტივი დესერტების მომზადება.

-მენიუს სახეები, სტრუქტურა.

სტუდენტებს ასევე გამოუმუშავდებათ კრიტიკული, ანალიტიკური და რაოდენობრივი ანალიზის უნარები.

ისინი შეძლებენ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას პროფესიული საქმიანობის სრულყოფის საქმეში.

კურსდამთავრებული შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ შესაძლებელია დასაქმდეს სხვადასხვა

ტიპის კვების ობიექტებში, როგორცაა: რესტორნები, კაფეები, ბარები, სწრაფი კვების ობიექტები,

სასაუზმეები, ბუნგალოები; დიდი, საშუალო და მცირე ზომის სასტუმროები, დასასვენებელი სახლები,

საკურორტო კომპლექსები, გასართობი კომპლექსები, კლუბები, კაზინოები; დიდი სუპერმარკეტები და სხვა

ობიექტები, სადაც არის კვებითი მომსახურება.

ძირითადი კომპეტენციები:კომუნიკაციის, გუნდური მუშაობის

- სინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების
- პრობლემის გადაჭრის
- ჯანდაცვისა და უსაფრთხოების

ტექნიკური და სპეციფიკური კომპონენტები:

- ტექნიკური და სხვა ნორმატიული დოკუმენტების გამოყენების
- სამუშაო გარემოს სწორად ორგანიზების (მომზადება, მოწყობა)
- დეფექტების გამოვლინების და მათი აღმოფხვრის გზების
- შესრულებული სამუშაოს ჩაბარების

სარესტორნო საქმის მწარმოებელი

1. ზოგადი ნაწილი

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სამართლებრივი საფუძვლები
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ეფუძნება:

”პროფესიული განათლების შესახებ” საქართველოს კანონს (2010);

ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს (დანართი 2- პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო და დანართი 4 - მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვე-დარგების/სპეციალობებისა და პროფესიულ სპეციალიზაციათა ჩამონათვალი);

შესაბამის პროფესიულ სტანდარტს -სარესტორნო საქმის მწარმოებელის პროფესიულ სტანდარტს;

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 121/ნ,2010 წლის 10 დეკემბრის ბრძანებას ”პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის” შესახებ;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავებულ შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს

დოკუმენტებს:“სწავლის პროცესის მარეგულირებელი წესი“

1.2. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება

სარესტორნო საქმის მწარმოებელი;

1.3. პროფესიული სპეციალიზაცია

სარესტორნო საქმის მწარმოებელი (020554);

1.4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

მესამე საფეხურის სარესტორნო საქმის მწარმოებლის პროფესიული კვალიფიკაცია;

1.5. პროგრამის მოცულობა კრედიტებში

45 კრედიტი (1125სთ); თეორიულ კურს ეთმობა 40% ,18 კრედიტი (450სთ); სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას 60%,27 კრედიტი (675 სთ).
1კრედიტი ტოლია 25 საათის.

1.6. სწავლების ხანგრძლივობა

პროგრამის ხანგრძლივობაა(32კვირა),თეორიული სწავლებისა და სასწავლო პრაქტიკის ხანგრძლივობაა -25კვირა,საწარმოო პრაქტიკის-7 კვირა. (მათ შორის თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების შუალედური და დასკვნითი გამოცდებისათვის საჭირო დრო).





2. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

2.1. მინიმალური განათლება

საბაზო განათლება .

2.2. მინიმალური ასაკი

წინაპირობა არ არის განსაზღვრული;

2.3. კვალიფიკაცია

წინაპირობა არ არის განსაზღვრული;

2.4. შიდა შესარჩევი კონკურსის წესი და პირობები

-

2.5. ქართული ენის ფლობის დონე პროგრამის გავლის მსურველთათვის, ვისთვისაც ქართული ენა არ არის მშობლიური

ქართული ენის ცოდნა საბაზო დონეზე, რომელიც აუცილებელია სარესტორნო საქმის მწარმოებლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასაძლევად.

3. დასაქმებისა და შემდგომი პროფესიული განვითარების შესაძლებლობები

აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება:

დასაქმდეს შრომით ბაზარზე მინიჭებული მესამე საფეხურის სარესტორნო საქმის მწარმოებელი პროფესიული კვალიფიკაციის შესაბამისად; სხვადასხვა ტიპის კვების ობიექტები: რესტორნები, კაფეები, ბარები, სწრაფი კვების ობიექტები, სასაუზმეები, ბუნგალოები; დიდი, საშუალო და მცირე ზომის სასტუმროები, სასტუმრო სახლები, დასასვენებელი სახლები, საკურორტო კომპლექსები, გასართობი კომპლექსები, კლუბები, კაზინოები; საკრუიზო გემები; დიდი სუპერმარკეტები და სხვა ობიექტები, სადაც არის კვებითი მომსახურება.

განაგრძოს სწავლა უფრო მაღალი, მე-4 საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მისაღებად თუ აკმაყოფილებს საგანმანათლებლო დონის მისაღებ მოთხოვნებს;

განაგრძოს სწავლა პროფესიული კვალიფიკაციის გასაახლებლად და ასამაღლებლად სწავლის მეშვეობით.

4. პროფესიული პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზანია მოამზადოს სარესტორნო საქმის სპეციალისტი, რომელსაც შეეძლება სხვადასხვა ტიპის კვების ობიექტებისა და ბარების ყოველდღიური გამართული მუშაობის ორგანიზება; სანიტარულ-ჰიგიენური და შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვა; სურსათის უვნებლობის პრინციპების დაცვა; ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების, ცხელი სასმელების შერჩევა, შეთავაზება და მიწოდება; რეალიზაციისა და მარკეტინგის პრინციპების გამოყენება; ანგარიშსწორება, ხარჯთაღრიცხვა და კალკულაცია; სინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება. პროგრამა შედგება თეორიული და პრაქტიკული სასწავლო კურსებისაგან. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეეძლება:

ინსტრუქციების დაცვით რესტორნის დარბაზისა და სამუშაო არეალის მომზადება,
რესტორნის ჭურჭლის, ჭიქების, დანა-ჩაგლის და სხვა აქსესუარების დანიშნულებისამებრ მოხმარება;



სერვირება და მომსახურება სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებზე კვების განსხვავებული დროის მონაკვეთებისათვის(საუზმე,ლანჩი, სადილი,ვახშამი);

მომხმარებლის მომსახურება;

რამოდენიმე კაცისაგან შემდგარი გუნდის ზედამხედველობა და მართვა;

კომფლიქტური სიტუაციების მართვა;

რესტორნის/ბარის მართვის პროგრამული სისტემის,“თაჩ კომპიუტერი“-ს გამოყენება;

ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე როგორც ქართულ ასევე უცხო ენაზე.

კურსდამთავრებული პროფესიისათვის საჭირო ცოდნის გარდა სწავლის პროცესში გამოიმუშავენს სარესტორნო საქმის სპეციალისტისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს. პროგრამის დასრულების შემდეგ მათ მუშაობა შეეძლებათ სერვისის სფეროს უმცროსი რგოლის ზედამხედველებად სხვადასხვა ტიპის კვების ობიექტებში (კაფეში, ბარში, რესორანში, სასტუმროში, სწრაფი კვების ობიექტებში და ნებისმიერი რესტორნის ტიპის დაწესებულებებში)

უნდა ფლობდეს ძირითად კომპეტენციებს:

კომუნიკაციის, გუნდური მუშაობის

სინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების

პრობლემის გადაჭრის

ჯანდაცვისა და უსაფრთხოების

ტექნიკური და სპეციფიურ კომპონენტებს:

სამუშაო გარემოს სწორად ორგანიზების (მომზადება, მოწყობა)

დეფექტების გამოვლენის

აღმოჩენილი უწყესივრობების აღმოფხვრის

შესრულებული სამუშაოს ჩაბარების

ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი)

1. ზოგადი ნაწილი

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სამართლებრივი საფუძვლები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ეფუძნება:

”პროფესიული განათლების შესახებ” საქართველოს კანონს (2010);

ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს (დანართი 2- პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო და დანართი 4 - მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვე-დარგების/სპეცილობებისა და პროფესიულ სპეციალიზაციათა ჩამონათვალი);

შესაბამის პროფესიულ სტანდარტს ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი)-ს პროფესიულ სტანდარტს;

განათლებისა და მეცნიერების მისისტრის 121/ნ.(10.12.2010)-ე ბრძანებას ”პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის” შესახებ;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავებულ შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს :

“სწავლის პროცესის მარეგულირებელი წესი“

1.2. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება

ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი).

1.3. პროფესიული სპეციალიზაცია

ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი) 040151

1.4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია


ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი)-ს მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

1.5. პროგრამის მოცულობა კრედიტებში

60 კრედიტი (1500სთ); თეორიულ კურს ეთმობა 50% ,30 კრედიტი (750 სთ); სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას 50%, 30 კრედიტი (750 სთ). 1 კრედიტი ასახავს 25 საათს.

1.6. სწავლების ხანგრძლივობა

პროგრამის ხანგრძლივობაა(42კვირა),თეორიული სწავლებისა და სასწავლო პრაქტიკის ხანგრძლივობაა -32 კვირა,საწარმოო პრაქტიკის-9 კვირა. (მათ შორის თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობე-





ბის შუალედური და დასკვნითი გამოცდებისათვის საჭირო დრო).

2. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

2.1. მინიმალური განათლება

საბაზო განათლება .

2.2. მინიმალური ასაკი

-

2.3. კვალიფიკაცია

-

2.4. შიდა შესარჩევი კონკურსის წესი და პირობები

-

2.5. ქართული ენის ფლობის დონე პროგრამის გავლის მსურველთათვის, ვისთვისაც ქართული ენა არ არის მშობლიური

ქართული ენის ცოდნა ზოგადი განათლების საბაზო დონეზე, რომელიც აუცილებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასაძლევად.

2.6. უცხოენოვან პროგრამებზე იმ უცხოური ენის ფლობის დონე, რომელზეც მიმდინარეობს სწავლება

3. დასაქმებისა და შემდგომი პროფესიული განვითარების შესაძლებლობები

აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება:

დასაქმდეს შრომით ბაზარზე მინიჭებული ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი).

მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის შესაბამისად; პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეეძლება იმუშაოს სამთავრობო დაწესებულებებსა და კერძო კომპანიებში რომელთაც სჭირდებათ უკვე არსებული ვებ საიტის ტექნიკური თუ ინფორმაციული მხარდაჭერა, ასევე საიტისათვის ახალი ვებ გვერდების ესკიზების შემუშავება და მარკირება.

განაგრძოს სწავლა უფრო მაღალი ,მე-4 საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მისაღებად თუ აკმაყოფილებს საგანმანათლებლო დონის მისაღებ მოთხოვნებს;

განაგრძოს სწავლა პროფესიული კვალიფიკაციის გასაახლებლად და ასამაღლებლად სწავლის მეშვეობით.

4. პროფესიული პროგრამის მიზნები

ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი)ის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადდეს ვებსპეციალისტი, რომელიც ფლობს პროფესიასთან დაკავშირებულ ძირითად ფაქტებს, პრინციპებს და ზოგად კონცეფციებს, აგრეთვე შეძლებს: ვებ-საიტის პროექტირების ეტაპების თანმიმდევრული და სწორი განსაზღვრას, ვებ გვერდის ლოგიკური სტრუქტურის ჩამოყალიბებას, საშუალო დონის ხარისხიანი და მიმზიდველი ვებ საიტების დამზადებას, მარტივი მართვის სისიტემის დამოუკიდებლად შექმნას, უზრუნველყოს საიტზე არსებული ინფორმაციის განახლებას, ფოტო, ვიდეო და გრაფიკული მასალის განთავსებას.



დააგეგმარებს კლიენტის მოთხოვნას პროექტის სახით და ეტაპობრივი მექანიზმით განაწილებს შესასრულებელი სამუშაოს რესურსებს, შეძლებს საჭირო ინფორმაციის მოძიებას საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და უცხო ენის გამოყენებით; კლიენტთან ურთიერთობისას იმოქმედებს იურიდიული, ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმების ფარგლებში, უზრუნველყოფს სამუშაოს დროულ და ხირისხიან შესრულებას. გაეცნობა პროფესიასთან დაკავშირებულ თანამედროვე ტექნოლოგიებს, ინოვაციებს და განაგრძობს შემდგომ პროფესიულ და კარიერულ ზრდას.

ძირითადი კომპეტენციები:

კომუნიკაციის, გუნდური მუშაობის

სინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების

პრობლემის გადაჭრის

პასუხისმგებლობა

ტექნიკური და სპეციფიური კომპონენტები:

- ტექნიკური და სხვა ნორმატიული დოკუმენტების გამოყენების
 - დეფექტების გამოვლენის
 - სამუშაოს შემოწმების (ტესტირება) და დოკუმენტურად გაფორმების
- შესრულებული სამუშაოს ჩაბარების სტუდენტებს ასევე გამოუმუშავდებათ კრიტიკული, ანალიტიკური და რაოდენობრივი აზროვნების უნარები. ისინი შეძლებენ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას

სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტი

1. ზოგადი ნაწილი

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სამართლებრივი საფუძვლები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ეფუძნება:

”პროფესიული განათლების შესახებ” საქართველოს კანონს (2010);

ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს (დანართი 2- პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო და დანართი 4 - მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვე-დარგების/სპეციალობებისა და პროფესიულ სპეციალიზაციათა ჩამონათვალი); შესაბამის პროფესიულ სტანდარტს ელექტრიკოსის პროფესიულ სტანდარტს; განათლებისა და მეცნიერების მისისტრის 121/ნ.(10.12.2010)-ე ბრძანებას - ე ბრძანებას ”პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის” შესახებ;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავებულ შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს:

“სწავლის პროცესის მარეგულირებელი წესი“

1.2. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება

სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტი

1.3. პროფესიული სპეციალიზაცია

სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტი (041059)

1.4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

1.5. პროგრამის მოცულობა კრედიტებში

60 კრედიტი (1500სთ); თეორიულ კურს ეთმობა 40% ,24 კრედიტი (600სთ); სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას 60%,36 კრედიტი (900 სთ). 1 კრედიტი ასახავს 25 საათს.

1.6. სწავლების ხანგრძლივობა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა-41 კვირა, თეორიული სწავლების ხანგრძლივობაა -32 კვირა, საწარმოო პრაქტიკის-9 კვირა.(მათ შორის თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების შუალედური და დასკვნითი გამოცდებისათვის საჭირო დრო).





2. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

2.1. მინიმალური განათლება

საბაზო განათლება.

2.2. მინიმალური ასაკი

2.3. კვალიფიკაცია

2.4. შიდა შესარჩევი კონკურსის წესი და პირობები

2.5. ქართული ენის ფლობის დონე პროგრამის გავლის მსურველთათვის, ვისთვისაც ქართული ენა არ არის მშობლიური

ქართული ენის ცოდნა ზოგადი განათლების საბაზო დონეზე, რომელიც აუცილებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასაძლევად.

2.6. უცხოენოვან პროგრამებზე იმ უცხოური ენის ფლობის დონე, რომელზეც მიმდინარეობს სწავლება

3. დასაქმებისა და შემდგომი პროფესიული განვითარების შესაძლებლობები

აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება:

- დასქმდეს შრომით ბაზარზე მინიჭებული სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის შესაბამისად; სასურსათო პროდუქტების წარმოების მცირე და დიდი საწარმოებში, სასერტიფიკაციო და კვლევით ლაბორატორიებში, მონიტორინგის უწყებებში და ორგანიზაციებში
- განაგრძოს სწავლა უფრო მაღალი ,მე-4 საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მისაღებად თუ აკმაყოფილებს საგანმანათლებლო დონის მისაღებ მოთხოვნებს;
- განაგრძოს სწავლა პროფესიული კვალიფიკაციის შესაცვლელად და ასამაღლებლად სწავლის მეშვეობით.

4. პროფესიული პროგრამის მიზნები

სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია , მოამზადოს მესამე საფეხურის სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტი, რომელსაც ექნება ამ სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების და ზოგადი კონცეპციების ცოდნა და გააცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასარულებლად აუცილებელ ნაბიჯებს. შეძლოს სასურსათო პროდუქტების წარმოებისასთვის განკუთვნილი ნედლეულის ხარისხის განსაზღვრა, ტექნოლოგიური ოპერაციების ჩატარება, ხელსაწყო -აპარატურის მუშა მდგომარეობაში მოყვანა, კვების პროდუქტების ტექნო-ქიმიური მაჩვენებლის განსაზღვრა. საჭიროა გამოუმუშავდეს უნარ-ჩვევები რომ კურსდამთავრებული საამქროში, ხორცის გადამამუშავებელ საწარმოში, თევზსაშენ მეურნეობებში, სურსათის უვნებლობის სამსახურში.

ძირითადი კომპეტენციები:

- კომუნიკაციის, გუნდური მუშაობის



- სინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების
- პრობლემის გადაჭრის
- ჯანდაცვისა და უსაფრთხოების
- ფიზიკური ამტანობა
- სიფრთხილე
- პასუხისმგებლობა

ტექნიკური და სპეციფიური კომპონენტები:

- ტექნიკური და სხვა ნორმატიული დოკუმენტების გამოყენების
- სამუშაო გარემოს სწორად ორგანიზების (მომზადება, მოწყობა)
- დეფექტების გამოვლენის
- აღმოჩენილი დაზიანებებისა და სხვა უწყესივრობების აღმოფხვრის
- სამუშაოს შემოწმების (ტესტირება) და დოკუმენტურად გაფორმების
- შესრულებული სამუშაოს ჩაბარების

სტუდენტებს ასევე გამოუმუშავდებათ კრიტიკული, ანალიტიკური და რაოდენობრივი აზროვნების უნარები. ისინი შეძლებენ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას .

ამთავრებული დასქმდეს: რძის გადამამუშავებელ კომბინატებში, პურისა და პურ-პროდუქტების

ავტომობილის ზეინკალი

1. ზოგადი ნაწილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სამართლებრივი საფუძვლები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ეფუძნება:

”პროფესიული განათლების შესახებ” საქართველოს კანონს (2010);

ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს (დანართი 2- პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო და დანართი 4 - მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვე-დარგების/სპეცილობებისა და პროფესიულ სპეციალიზაციათა ჩამონათვალი);

შესაბამის პროფესიულ სტანდარტს ავტომობილის ზეინკლის პროფესიულ სტანდარტს ;

განათლებისა და მეცნიერების მისისტრის 121/ნ.(10.12.2010)-ე -ე ბრძანებას ”პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის” შესახებ;

- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავებულ შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს : “სწავლის

პროცესის მარეგულირებელი წესი“

1.1. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

ავტომობილის ზეინკლის მესამე საფეხური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

1.2 პროფესიული სპეციალიზაცია

ავტომობილის ზეინკალი 040772

1.4 მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

ავტომობილის ზეინკლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

1.5 პროგრამის მოცულობა კრედიტებში

60 კრედიტი (1500სთ); თეორიულ კურს ეთმობა 40% ,24 კრედიტი (600სთ); სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას 60%,36 კრედიტი (900 სთ)

1.6. სწავლების ხანგრძლივობა





პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა-41 კვირა, თეორიული სწავლების ხანგრძლივობაა -32 კვირა, საწარმოო პრაქტიკის-9 კვირა.(მათ შორის თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების შუალედური და დასკვნითი გამოცდებისათვის საჭირო დრო).

2.პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

2.1.მინიმალური განათლება

საბაზო განათლება

2.2. მინიმალური ასაკი

წინაპირობა არ არის განსაზღვრული

2.3. კვალიფიკაცია

შიდა შესარჩევი კონკურსის წესი და პირობები

ეროვნული გამოცდები -ტესტირება

3. დასქმებისა და შემდგომი პროფესიული განვითარების შესაძლებლობები

აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება:

დასქმდეს შრომით ბაზარზე მინიჭებული ავტომობილის ზეინკლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის შესაბამისად; მოცემული სტანდარტის მიხედვით ავტომობილის ზეინკალი არის ავტოსარემონტო სამსახურის პერსონალი, რომელიც მუშაობს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელობის მეთვალყურეობის ქვეშ.დასაქმების სფეროს წარმოადგენს ქვეყანაში არსებული სხვადასხვა მარკისა და მოდელის სერვისცენტრები, რომლებიც უზრუნველყოფენ ტრანსპორტის ტექნიკურ მდგომარეობასა და მოითხოვენ ავტომემკეთებლების მრავალმხრივ პროფილიზაციას.

- განაგრძოს სწავლა უფრო მაღალი ,მე-4 საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მისაღებად თუ აკმაყოფილებს საგანმანათლებლო დონის მისაღებ მოთხოვნებს;
- განაგრძოს სწავლა პროფესიული კვალიფიკაციის გასაახლებლად და ასამაღლებლად სწავლის მეშვეობით.

4. პროფესიული პროგრამის მიზანი:

ავტომობილის ზეინკლის პროფესიის მესამე საფეხურის პროგრამის მიზანია, მოამზადოს მესამე საფეხურის ავტომობილის ზეინკალი, რომელსაც ექნება ამ სფეროს საფუძვლების ცოდნა და გააცნობიეროს რთული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელი ნაბიჯები. შეისწავლოს სტაბილურ გარემოში გარკვეული დამოუკიდებლობით და შეასრულოს წინასწარ განსაზღვრული დავალებები, მირითადი მეთოდების, ინსტრუმენტების და მასალების გამოყენებით. შეისწავლოს ავტომობილის ტექნიკურ მდგომარეობაზე მოქმედი ფაქტორები და მისი ცვლილების



მიზეზები, ავტომობილის შეკეთების ტექნოლოგიური პროცესის ძირითადი პრინციპები და დებულებები, ავტომობილის ცალკეული აგრეგატებისა და მექანიზმების მუშაობის პრინციპების თავისებურებები, მათი აწყობის ტექნოლოგიური რუკები, ტექნოლოგიური პირობების მოთხოვნები და გამოყენებული მოწყობილობა-დანადგარები; გამოყენებული სათადარიგო დეტალების შემოწმების მეთოდები და მათი შეცვლის რესურსები; შეისწავლოს საზეინკლო სამუშაოები, სხვადასხვა სამუშაოების ჩატარება საბურღ და საფრეზ ჩარხებზე, ავტომობილის დეტალების და კვანძების შეერთება ჭანჭიკებით,ქანჩებით და მოქლონვით. გამოუმუშავდეს უნარ-ჩვევები, რომ შეეძლოს მუშაობა ავტო.შემკეთებელ და ამწყობ საწარმოებში . ავტომობილების ტექნიკური მომსახურებისა და სერვისის ცენტრებში. ინდივიდუალურ საწარმოებში. მუშაობის პროცესში დაიცვას უსაფრთხოების წესები.

პროგრამის დასრულებისას კურსდამთავრებულები ფლობენ შემდეგ კომპეტენციებს:

ძირითადი კომპეტენციები:

- კომუნიკაციის, გუნდური მუშაობის
- სინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების
- პრობლემის გადაჭრის
- ჯანდაცვისა და უსაფრთხოების
- ფიზიკური ამტანობა
- სიფრთხილე
- პასუხისმგებლობა

ტექნიკური და სპეციფიური კომპონენტები:

- ტექნიკური და სხვა ნორმატიული დოკუმენტების გამოყენების
- სამუშაო გარემოს სწორად ორგანიზების (მომზადება, მოწყობა)
- დეფექტების გამოვლენის
- დემონტაჟის განხორციელების
- აღმოჩენილი დაზიანებებისა და სხვა უწყესივრობების აღმოფხვრის
- მონტაჟის განხორციელების
- სამუშაოს შემოწმების (ტესტირება) და დოკუმენტურად გაფორმების
- შესრულებული სამუშაოს ჩაბარების

სტუდენტებს ასევე გამოუმუშავდებათ კრიტიკული, ანალიტიკური და რაოდენობრივი აზროვნების უნარები. ისინი შეძლებენ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას .



საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამების შეფასების სისტემა

ა) პროფესიული სტანდარტების საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების სისტემა

კრედიტის მინიჭება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც აისახება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #121/ნ 2010წლის 10 დეკემბერი ქ. თბილისი. “პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ მუხლი 4. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება ამ მუხლის პუნქტით 2 (ა) გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასების მეშვეობით. შეფასების სისტემით დასაშვებია: ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

- ა.ა) (ა) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- ა.ბ) (ბ) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- ა.გ) (გ) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- ა.დ) (დ) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- ა.ე) (ე) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასები 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და რომ ეძლევა შესაძლებლობა, ჩააბაროს დამატებითი გამოცდა დამოუკიდებლად მუშაობის შემდეგ;

ბ.ბ) (F) ჩაჭრა 40% ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია და მითითებულია 100 ქულაში შუალედური და საბოლოო შეფასების წილი. დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების ერთჯერადი შეფასება მხოლოდ საბოლოო გამოცდის საფუძველზე. შეფასება უნდა მოიცავდეს: ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) საბოლოო გამოცდის შეფასებას; საბოლოო გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში გამოცდიდან, სულ მცირე, 10 დღეში პროფესიულ სტუდენტს დამატებითი გამოცდის ჩაბარების უფლება აქვს. სასწავლო კომპონენტისათვის გამოყოფილი კრედიტების ჩათვლა შესაძლებელია საბოლოო შეფასებისას დადებითი შედეგების მიღების შემთხვევაში; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულ საკონტაქტო საათებზე დასწრება სავალდებულოა კოლეჯის მიერ შემუშავებული მარეგულირებელი აქტის შინაგანაწესის, სესაბამისად. სტუდენტის მიერ პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი საკონტაქტო საათების 20%-ზე მეტის გაცდენის შემთხვევაში სტუდენტს უწყდება სტუდენტის სტატუსი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასება ხდება მრავალკომპონენტური სისტემით და დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად-მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. შეფასების სისტემა შედგენილია მოქმედი სტქნდრტის შესაბამისად და გაწერილია სილაბუსში. ნებისმიერ სასწავლო კომპონენტში შეფასება ითვალისწინებს I/II შუალედურ შეფასებას და დასკვნით გამოცდის შეფასებას.



ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამების შეფასების სისტემა:

1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
 - ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
 - ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.
5. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.



გ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი სამუშაოზე დაფუძნებულ (დუალური) პროგრამების შეფასების სისტემა:

სამუშაოზე დაფუძნებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც განსაზღვრულია 50% ან მეტი სწავლის შედეგების რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევა, საკვალიფიკაციო კომისია პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების მიზნით, უზრუნველყოფს საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებას, რომლის ჩაბარებაც პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

კრედიტი მიენიჭება მიღწეული სწავლის შედეგის დადასტურებისას. სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებშიც:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტროს მიერ დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით. არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა მოხდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

კოლეჯსა და კომპანიას შორის დადებული ხელშეკრულების ფარგლებში, პროფესიული სტუდენტი მუშაობს საწარმოს ინსტრუქტორის ზედამხედველობის ქვეშ აწარმოებს სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალს რომელსაც ამოწმებს ინსტრუქტორი და მიღწევის შემთხვევაში უდასტურებს სწავლის შედეგებს.